პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 184 (13876) | სამშაბათი, 8 აგვისტო, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

დიდი წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობისა და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. 1967 წლის მეორე კვარტალში გეგმის გადამეტებით წარმოებულია ათეულ მილიონობით მანეთის სახალხო მოხმარების პროდუქტები, გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

საქართველოს კვებისა და ხორცისა და რძის მრეწველობის მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1967 წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივს.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობეს მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები დაიმსახურეს [illegible] კომბინატის, ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის, სალხინოს ჩაის ფაბრიკისა და თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივებმა.

თბილისის რძის კომბინატის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ თბილისის ცხიმკომბინატისა და სამტრედიის ხორცკომბინატის კოლექტივებს. (საქდესი).

დიდი მოსავლის საწინდარი

ჯერ კიდევ რამდენიმე კვირა, და კარს მოგვადგება შემოდგომა. სოფლის მშრომელებს კი ძალიან ბევრი სამუშაო აქვთ მინდვრებში. უნდა დაამთავრონ პურეულის მოსავლის აღება, შემოდგომის პირველი დღეებიდანვე მოტეხონ სიმინდი, ამოიღონ შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, საგვიანო ბოსტნეული, შეუდგნენ რთველს.

ამ სამუშაოებთან ერთად სოფლის მეურნეობის მშრომელებს არ ავიწყდებათ მომავალი წლის მოსავალზე ზრუნვა. სწორედ ახლა ეურება მტკიცე საფუძველი 1968 წლის უხვ მოსავალს. სულ მალე დადგება საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის დრო. ჩვენს რესპუბლიკაში შემოდგომის ბორბალი ითესება შემოდგომისა და ადრეულ ანეულზე, სათოხნი კულტურებისაგან განთავისუფლებულ ნაკვეთებზე, უმთავრესად ნაწვერალზე.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი შესაძლებლობანი აქვთ იმისათვის, რომ კარგად გაართვან თავი მომდინარე ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს, კომპლექსურად შეასრულონ იგი აგროტექნიკური ვადებში და მიაღწიონ მაღალ შედეგებს. ყველაფერი ეს დამოკიდებულია მშრომელთა ფართო მასების, მხვნელ-მთესველთა ორგანიზებულობასა და შრომის დისციპლინაზე, თვითეული კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობის მუშის, სპეციალისტისა და მეურნეობათა ხელმძღვანელების მაღალ შეგნებაზე.

ქართული ანდაზა ამბობს, კარგ მოსაბალს კარგი გამრიგე უნდაო. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი სასოფლო პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა მთელი თავიანთი ორგანიზატორული მუშაობა დაუქვემდებარონ მთავარ ამოცანას — მიმდინარე სამუშაოების წარმატებით დამთავრებას, ყველა პირობის შექმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებისათვის, უხვი მოსავლის მიღებისათვის მომავალ წელს.

პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლაში შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებს ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რაიონი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა. სიღნაღის, ყვითელწყაროს, ლაგოდეხის რაიონების სოფლის მშრომელებმა ორგანიზებულად მოაწყეს პურეულის მკა, მარცვლის ბაბარება, საკვების დამზადება. როგორც კი მინდვრები პურეულისაგან გაათავისუფლეს, მაშინვე დაიწყეს ზრუნვა მომავალი წლის მოსავლისათვის, შეუდგნენ ნაადრეო ხვნას, ჯიშიანი, საუკეთესო ბარისხის თესლის მომზადებას თესვისათვის.

სულ მალე დაიწყება საშემოდგომო თესვა. მთიანი ზონის რაიონებში კი უფრო ადრე შეუდგებიან ამ სამუშაოს. ხორბლის თესვა (დადგენილი ვადებით) კი ძირითადად ოქტომბერში უნდა დამთავრდეს. მოსავლიანობის გადიდება, უხვი დოვლათის მიღება უმთავრესად დამოკიდებულია ხარისხიან თესლზე. წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სხვა დაწესებულებებს საშემოდგომო თესვისათვის ეხაჯიროებათ 552.700 ცენტნერი თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესლი. ასეთი რაოდენობით თესლის მომზადება დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვს. უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა დასათესად მოვამზადოთ მხოლოდ დარაიონებული ჯიშის პირველი და მეორე კატეგორიის სათესი მასალა. აღნიშნული თესლი აუცილებლად უნდა დამუშავდეს სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებულ პირველ და მეორე კლასის ნორმებამდე.

მისაბაძია იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა, რომლებმაც მოსავლის აღებისთანავე დაიწყეს სათესლე მასალის მომზადება. ამ მხრივ მოწინავენი არიან ბურჯაანის, სიღნაღის, ყვითელწყაროს რაიონების მეურნეობები. მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით ამ დიდი საქმის შეუფასებლობის ფაქტებს. რას იტყვიან გარდაბნის რაიონის რუისბოლოს და გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები, როცა ივლისის ბოლოსათვის დაწყებულიც არ ჰქონდათ სათესლე მასალის გაწმენდა? გარდაბნელებს გაუწმენდავად ჩაყრილი ჰქონდათ 220 ცენტნერი ხორბლის, 500 ცენტნერი ქერის, რუისბოლოს მეურნეობაში კი 880 ცენტნერი ხორბლის, 2.000 ცენტნერი ქერის სათესლე მასალა. ასეთ მაგალითებს სხვაგანაც ვხვდებით.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის სამმართველოები ვალდებული არიან ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ საშემოდგომო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება. არ უნდა შეურიგდნენ ნაკლოვანებებს და გადამჭრელი ზომები მიიღონ მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ არ გამეორდეს შარშანდელი მწარე გაკვეთილი, როცა რესპუბლიკის ზოგიერთ მეურნეობაში დაითესა 18,3 პროცენტი დაბალი ხარისხის (მესამე კლასის) თესლი. ამოცანა ის არის, რომ ამ საიუბილეო წელს ყველა მეურნეობამ დათესოს საკუთარი წარმოების მაღალი ხარისხის თესლი. ეს იქნება დიდი წვლილი მომავალი წლის უხვი მოსავლის მიღებაში.

აგვისტოსა და სექტემბერში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ათეულ ათასობით ჰექტარი საშემოდგომო პურეული უნდა დათესონ და ამასთან ერთად მოხნან ათეულ ათასობით ჰექტარი მზრალი საგაზაფხულო კულტურების დასათესად. მუშაობის მოცულობა, ფრონტი დიდი და სერიოზულია. ყოველ კონკრეტულ რაიონში, ზონაში საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები უნდა დათესოთ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, კარგად დამუშავებულ, გაპოხიერებულ ნიადაგში. მხოლოდ აგროტექნიკის მაღალი დონის, ყველა მისი მოთხოვნის დაცვის პირობებში, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის შედეგად შეიძლება მიიღოთ კარგი მოსავალი.

საჭიროა ანალიზი გავუკეთოთ ზოგიერთ მეურნეობათა მიერ მიღებულ შედეგებს. გამოვავლინოთ მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს მოსავლიანობის შემცირება. არის ფაქტები, როცა მეზობელმა მეურნეობებმა, რომლებსაც მუშაობის ერთნაირი პირობები ჰქონდათ, სხვადასხვა მოსავალი მიიღეს. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ მკვეთრად ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა, სწორად შევარჩიოთ დარაიონებული ჯიშები, გეგმაზომიერად გამოვიყენოთ მინერალური და ადგილობრივი სასუქები, დავეყრდნოთ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის რეკომენდაციებს. ამ საქმეში კი სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა კერძოდ, აგრონომებმა უნდა თქვან თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა. ისინი მინდვრის ტექნოლოგები, წარმოების ორგანიზატორები არიან. უხვი და მყარი მოსავალი ჩვენი აგრონომების ჩინებული ატესტატია.

უკვე მოახლოვდა საშემოდგომო თესვა. წლევანდელი მოსავალი რომ მოგვაკვანს, ხვალინდელ მოსავალზე უნდა ზრუნავდე. ახალთა მხვნელ-მთესველის მინდვრის კანონი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკა. ამ შემოხვევაშიც აგრონომი მემინდვრეობის მაღალი კულტურისათვის აქტიური მებრძოლია. მისი რჩევა დიდად ფასობს. ბევრი რამის გაკეთება შეუძლია სპეციალისტებს, თუ დაეყრდნობა სოფლის ძალას — კომუნისტებს, მშრომელთა ფართო მასებს.

რესპუბლიკის მხვნელ-მთესველთა სახელისა და ღირსების საქმეა ახალი დიდი წარმატებები მოიპოვონ ამ საიუბილეო წელს, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს. სოფლის მშრომელთა მთელ საქმიანობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. კიდევ უფრო გავზარდოთ პარტიული ორგანიზაციების როლი, პასუხისმგებლობა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

საიუბილეო ვახტზე

ბევრი ახალგაზრდა შრომობს თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებში“. ზოგიერთი მათგანი აქ პირდაპირ სკოლის მერხიდან მოვიდა, ზოგი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ზოგი კი ამჟამად განაგრძობს სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას.

ქარხნის მექანიკური საამქრო ამჟამად ავტომატურია. ამიტომ ახალბედა მუშას რთული პროცესის ათვისება უხდება, ვიდრე დამოუკიდებლად დაიწყებდეს ავტომატურ დაზგაზე მუშაობას.

ოგარ ხუროშვილი (მარცხენა სურათზე) მესამე წელია აქ მუშაობს. ახალგაზრდა მეავტომატე თავის მოვალეობას კარგად ართმევს თავს და საიუბილეო წლის გეგმებს ყოველდღიურად 120-130 პროცენტით ასრულებს.

მეორე სურათი (ქვემოთ) კი ბათუმშია გადაღებული. წყალქვეშაფრთიანი კატარღები, რომლებსაც ბათუმის გემთსამშენებლო ქარხანა უშვებს, მსოფლიოს 27 ქვეყანაში იგზავნება. კატარღები გამოირჩევა დიდი გამძლეობითა და ლამაზი თანამედროვე ფორმით. ქარხნის კოლექტივი საიუბილეო ვახტზე დგას და გეგმის ზევით აძლევს სამშობლოს პროდუქციას.

ფოტოები ვ. გენგიურისა და დ. კაკიტელაშვილისა.



ცხაკაიელ მეჩაიეთა სიტყვა და საქმე

ფლიური გეგმის გადამეტებით — 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი

აღრე გაზაფხულზე ცხაკაიას რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს ამ საიუბილეო წელს გადაჭარბებით შეესრულებინათ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, — განაცხადა საუბარში პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. შონიამ. — მიუხედავად იმისა, რომ ჩაის კრეფის სეზონი ძალიან დაგვიანებით დაიწყო, სახელოვანმა მეჩაიეებმა დაძლიეს სიძნელეები, გმირულად იშრომეს და სიტყვა საქმედ აქციეს. 7 აგვისტოსათვის მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 4.100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.065 ტონისა. მოკრეფილი ნედლეულის 70 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისაა.

ეს გამარჯვება განაპირობა რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორულმა მუშაობამ. მეტი ჩაისათვის ბრძოლაში წინა ხაზზე იდგნენ კომუნისტები, რომლებიც დასახული ამოცანის შესრულებისათვის არ იშურებდნენ თავიანთ ცოდნასა და ენერგიას. ჩვენს მეჩაიეებს მხარში ედგნენ ჩაის მრეწველობის მუშაკები. ხარისხოვანი ნედლეულის მიღებასა და გადამუშავებაში თავი ისახელა ცხაკაიას ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ო. შალამბერიძე).

ჩაის ნედლეულის მიღება და გადამუშავება ორგანიზებულად წარმართა უშაფათის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ი. კარტოზია). კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ჩაის ფოთლის გადაზიდვაზე სერიოზული მუშაობა გაწია ცხაკაიას ავტოტრანსპორტის კანტორამ (უფროსი ლ. შეროზია). ავტომანქანების კოლონას შეუფერხებლად გადაჰქონდა ნედლეული ჩაის ფაბრიკებამდე.

რაიონის მეჩაიეთა გმარჯვებაში დიდი წვლილი შეეტანეს სოფლების ხორშის, ეკისა და ზანის ეფანოვის სახელობის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები ალ. გვასალია, ლ. ჟურაშვილი და სოციალისტური შრომის გმირი ვ. კუპრეიშვილი).

ჩაის კრეფის წლიური გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის, ლეძაძამის ცხაკაიას სახელობის, ნაქალაქევისა და ზემო ჭალადიდის კოლმეურნეობებმა, გეჯეთის, ახალსენაკისა და ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობებმა.

რაიონში მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში ასობით მეჩაიე დაწინაურდა. ახალგაზრდა მეჩაიეებს მუშაობის ტონს აძლევდნენ ძველი გვარდიის წარმომადგენლები. ზანელმა მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა ეკატერინა ტუტაბაშვილმა მოკრიფა 6.500 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.200 კილოგრამისა. უშაფათელმა მეჩაიემ თამარ გაბელიამ, ფოცხოელმა ეუფუნა სანაიამ წლიური გეგმები ორმაგად შეასრულეს. ეკალმა მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გული ქვარცხავამ მოკრიფა 9.198 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმაზე ორნახევარჯერ მეტი.

სახელოვანი მეჩაიეები, რომლებმაც სიტყვა არ გატეხეს, კვლავ ენერგიულად შრომობენ და პირობას იძლევიან წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

რკინიგზელთა ნოგათეგი

◆ **ბათუმი.** მთელი დატვირთვით მიმდინარეობს ბათუმის სავაგონო დეპოს შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

ეს სამუშაო ხელს როდი უშლის დეპოს კოლექტივს იმ შეჯიბრებაში, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეს ღირსეულად შეხვედრას ეძღვნება.

ნახევარ წელიწადში კოლექტივმა გეგმის ზევით 32 ვაგონი გამოუშვა. გეგმასთან შედარებით 0,7 საათით შემცირდა მათი რემონტში დგომა. კარგი მაჩვენებლებია მიღწეული შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში.

ვ. ეული.

◆ **ახალციხე.** კარგი შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ ახალციხის სატვირთო სადგურის მუშაკები რკინიგზელთა დღეს. დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს შვიდი თვის დავალება:

დატვირთული და დაცლილია 8.000-ზე მეტი ვაგონი, რაც გეგმას ბევრად აღემატება. მინიმუმამდე შემცირდა ვაგონების მოცდენა.

ჯ. კუპაძე.

◆

გეგმის გადამეგებით

ენგურის ხე-ტყის დაცურების კატორამ წლის დადგენილ გეგმის გადამეტებით დაამზადა 21 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე. კანტორის კოლექტივმა გადაწყვიტა წლიური საწარმოო გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულოს დიდი ოქტომბრის იუბილესათვის. (საქდესი).

გუშინ მინდვრებსა და პლანტაციებში

წელს რესპუბლიკაში დათესილია 210.123 ჰექტარი სიმინდი, რომლის დამუშავება დასასრულს უახლოვდება. 1 აგვისტოსათვის მთელი ნათესი მეორედ გათოხნილია 143.094 ჰექტარზე, რაც გეგმის 68,1 პროცენტს შეადგენს.

სიმინდის მეორე თოხნას ამ დღეებში დაამთავრებენ ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, გორდაბნის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთის, ჯავის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ზუგდიდის, წალენჯიხის, მახარაძის, ჩოხატაურის რაიონებში, აფხაზეთისა და აჭარის ას რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

გეგეშაორი. („კომუნისტის“ კორ.). ირაველსაყრელი ამინდის მიუხედავად რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა. გუშინდლამდე რაიონში მოკრეფილი იყო 7.650 ტონა „მწვანე ოქრო“, გეგმა კი 9.350 ტონას ითვალისწინებს.

ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში წარმატებას მიაღწიეს ბანძის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებმა. მათ წლიური გეგმა უკვე შეასრულეს და ახლა ვალდებულების ინგარიშში კრეფენ ჩაის ფოთოლს. ამ საქმეში დაწინაურდნენ აგრეთვე გეგეჭკორის ლენინის სახელობის, დიდი ჭყონის მაზარაძისა და კუიბიშევის სახელობის, ნაჯახოს მარქსის სახელობის, ნახუნაოს, ნაგვაზაოს, თამაკონის, სალხინოს კოლმეურნეობები და დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები.

გეგეჭკორელი მეჩაიეები ორ-სამ კვირაში სამშობლოს წლიური გეგმის შესრულებას უპატაკებენ.

საუბარი საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივანთან ნ. შონიასთან.

●

ზატორულმა მუშაობამ. მეტი ჩაისათვის ბრძოლაში წინა ხაზზე იდგნენ კომუნისტები, რომლებიც დასახული ამოცანის შესრულებისათვის არ იშურებდნენ თავიანთ ცოდნასა და ენერგიას. ჩვენს მეჩაიეებს მხარში ედგნენ ჩაის მრეწველობის მუშაკები. ხარისხოვანი ნედლეულის მიღებასა და გადამუშავებაში თავი ისახელა ცხაკაიას ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ო. შალამბერიძე).

ჩაის ნედლეულის მიღება და გადამუშავება ორგანიზებულად წარმართა უშაფათის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ი. კარტოზია). კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ჩაის ფოთლის გადაზიდვაზე სერიოზული მუშაობა გაწია ცხაკაიას ავტოტრანსპორტის კანტორამ (უფროსი ლ. შეროზია). ავტომანქანების კოლონას შეუფერხებლად გადაჰქონდა ნედლეული ჩაის ფაბრიკებამდე.

რაიონის მეჩაიეთა გმარჯვებაში დიდი წვლილი შეეტანეს სოფლების ხორშის, ეკისა და ზანის ეფანოვის სახელობის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები ალ. გვასალია, ლ. ჟურაშვილი და სოციალისტური შრომის გმირი ვ. კუპრეიშვილი).

ჩაის კრეფის წლიური გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის, ლეძაძამის ცხაკაიას სახელობის, ნაქალაქევისა და ზემო ჭალადიდის კოლმეურნეობებმა, გეჯეთის, ახალსენაკისა და ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობებმა.

რაიონში მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში ასობით მეჩაიე დაწინაურდა. ახალგაზრდა მეჩაიეებს მუშაობის ტონს აძლევდნენ ძველი გვარდიის წარმომადგენლები. ზანელმა მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა ეკატერინა ტუტაბაშვილმა მოკრიფა 6.500 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.200 კილოგრამისა. უშაფათელმა მეჩაიემ თამარ გაბელიამ, ფოცხოელმა ეუფუნა სანაიამ წლიური გეგმები ორმაგად შეასრულეს. ეკალმა მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გული ქვარცხავამ მოკრიფა 9.198 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმაზე ორნახევარჯერ მეტი.

სახელოვანი მეჩაიეები, რომლებმაც სიტყვა არ გატეხეს, კვლავ ენერგიულად შრომობენ და პირობას იძლევიან წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1967 წლის 5 აგვისტოსათვის (ტონობით)

	გეგმა 1967 წელს		შესრულება			გეგმის შესრულების პროცენტი	
		აგვისტო	სეზონის დასაწყისიდან	აგვისტო	წლიური		აგვისტო
აფხაზეთის ასსრ	33695	6740	28654	213		85,0	3,2
გალის	17925	3583	15251	119		85,1	3,3
ოჩამჩირის	11055	2214	9484	36		85,8	1,6
გუდაუთის	3300	660	2635	48		79,8	7,3
გულრიფშის	1118	224	1025	7		91,7	3,1
სოხუმის	297	59	259	3		87,2	5,1
აჭარის ასსრ	32530	6506	27313	285		84,0	4,4
ქობულეთის	23562	4712	19398	227		82,3	4,8
ბათუმის	8518	1704	7548	52		88,6	3,1
ქედის	450	90	367	6		81,6	6,7
მახარაძის	38120	7620	31288	444		82,1	5,8
ზუგდიდის	25785	5160	20916	170		81,4	3,3
წალენჯიხის	12120	2430	10565	89		87,2	3,7
ლანჩხუთის	10680	2140	8992	62		84,2	2,9
გეგეჭკორის	9350	1865	7604	29		81,3	1,6
ჩხოროწყუს	8450	1690	6835	34		80,9	2,0
ჩოხატაურის	5780	1155	4726	39		81,8	3,4
ტყიბულის საქალაქო							
საბჭო	4410	880	3987	26		90,4	3,0
წყალტუბოს	4400	880	4583	21		104,2	2,4
წულუკიძის	4300	860	3610	15		84,0	1,7
ცხაკაიას	4065	813	4068	200		100,1	24,6
ხობის	3670	730	3196	22		87,1	3,0
სამტრედიის	1270	254	1004	6		79,1	2,4
აბაშის	470	94	499	2		106,2	2,1
თერჯოლის	380	77	419	3		110,3	3,9
ბიათურის საქალაქო							
საბჭო	330	66	404	16		122,4	24,2
ვანის	150	30	135	1		90,0	3,3
ზესტაფონის	45	10	64	1		142,2	10,0
სულ	200000	40000	168862	1678		84,4	4,2
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიული კულტურების ტრესტი	37300	7489	31430	560		84,3	7,5
იყო 1966 წლის 5 აგვისტოსათვის	195000	42900	185176	3773		95,0	8,8

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ბუმედიენის გამოსვლა

ალჟირი, 7 აგვისტო. (საკდესი). „ყველა განვითარებადი ქვეყნის მტერი, რომელსაც ამერიკის იმპერიალიზმი ეწოდება, და, რომელსაც მხარს უჭერს და აქეზებს საერთაშორისო კაპიტალი — მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს“, განაცხადა ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბუმედიენმა.

ბუმედიენი ეწვია რეგაიის საზენიტო სასწავლებელს და სიტყვით მიმართა სტუდენტებს, რომლებიც აქ მოკლევადიან სამხედრო მომზადებას გადიან.

„რევოლუციური ალჟირი, — თქვა მან, — რომელიც ერთგულად იცავს საბრძოლო ტრადიციებს, ყოველთვის მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს ყოველნაირ აგრესიას, საიდანაც უნდა გვემუქრებოდეს იგი“.

დაპატიმრებანი ინდონეზიაში

პარიზი, 7 აგვისტო. (საკდესი). ჯაკარტაში დაუპატიმრეს ინდონეზიის ეროვნული პარტიის სამი ლიდერი, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალი სასტრო ამიჯოიო. ამას იუწყება ფრანს პრესის საგენტო „ორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ინდონეზიის გაზეთ „ამპერის“ ცნობას.

დამთავრდა აღმოსავლეთევროპულ-ნეთა საერთაშორისო სემინარი

ქაბული, 7 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ა. პეტროვი იუწყება: აქ დამთავრდა აღმოსავლეთის ძველი ხელნაწერების შემსწავლელ 11 ქვეყნის მეცნიერ აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო სემინარი. სემინარის მიზანი, თქვა საუბრის დროს საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა უზბეკმა მეცნიერმა იზათ სულთანოვმა, ის იყო, რომ დაგვედგინა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებული აღმოსავლური ხელნაწერების სიმდიდრე. საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი წიგნთსაცავია.

აქ მოისმინეს საბჭოთა მეცნიერ აღმოსავლეთმცოდნეთა სამი მოხსენება, რომლებშიც ასახული იყო საკითხები, თუ როგორ სწავლობენ საბჭოთა კავშირში ავიცენას, ნავოისა და სხვათა ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ამ მოხსენებებმა დაინტერესა აღმოსავლეთის დელეგაცია, საერთაშორისო სემინარის თავმჯდომარემ ავღანელმა მეცნიერმა აღმოსავლეთმცოდნემ ჰაბიბიმ კი თავის გამოსვლაში აღნიშნა მათი მნიშვნელობა ავღანური ლიტერატურის ერმად და ყოველმხრივ შესწავლისათვის.

სემინარის ყველა მონაწილის აზრით სემინარი დაეხმარა მათ დაედგინათ აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდების სიმდიდრე. დისკუსიის დროს დასახეს ამ ფონდების უფრო ეფექტიანი და ხაყოფიერი შესწავლის გზები, რომელთა შედეგადაც შეიქმნება მსოფლიო კატალოგი.

ახალი მთავრობა

ლონდონი, 7 აგვისტო. (საკდესი). ბოლივიის პრეზიდენტმა რენე ბარიენტოსმა შექმნა ახალი მთავრობა — კოალიციური კაბინეტი, რომელშიც შედიან სამი პარტიის წარმომადგენლები, იუწყება რეიტერის სააგენტოს ლაპასელი კორესპონდენტი.

საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ჭეშმარტად რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელი ვალტერ გევარა არსე; სამთამადნო და ნავთობის მრეწველობის მინისტრად — მემარცხენე რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელი რიკარდო ანაია.

პრეზიდენტმა ეს ღონისძიება განახორციელა მას შემდეგ, რაც ბოლივიის ვიცე-პრეზიდენტმა ლუის სილეს სალინასმა გადაწყვიტა კოალიციური კაბინეტიდან გამოეყვანა წარმომადგენლები სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

უნუგეშო დილემა

ვაშინგტონი, 7 აგვისტო. (საკდესი). მძიმე დამარცხებამ ვიეტნამში, ზანგი მოსახლეობის მტკიცე გამოსვლებმა თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, პრეზიდენტის მოთხოვნამ გადასახადების გადიდების შესახებ, უნუგეშო გადაწყვეტილება გამოიწვია ამერიკის კონგრესში.

გამოხატა რა კაპიტოლიუმის განწყობილება, კონგრესმენმა ოჰაიოს შტატისაგან კლარენს მილერმა განაცხადა: „ვმარცხდებით ომში სიღატაკის წინააღმდეგ, ვომობთ ვიეტნამში ისე, რომ გამარჯვების არავითარი პერსპექტივა არა გვაქვს. ჩვენი ქალაქების ქუჩებში მიმდინარეობს ომი ამბოხებულებთან. და ამ პირობებში მთავრობა აცხადებს ახალ ომს — ახლა უკვე გადასახადის გადახდელთა წინააღმდეგ“.

სენატისა და წარმომადგენელთა პალატის დემოკრატ წევრებს შორის იზრდება შეშფოთება, რომ გადასახადების გადიდება ვიეტნამის ომისა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში ზანგთა გამოსვლების პირობებში, კატასტროფულად გაუარესებს მათ შანსებს ხელმეორედ იყვნენ არჩეული 1968 წლის არჩევნებში.

დემოკრატთა ლიდერმა სენატში მენსფილდმა განაცხადა: „ახლა ყველანი მძიმე დროში ვცხოვრობთ“.

ამერიკელ კანონმდებლებს სარისკოდ მიაჩნიათ არჩევნების წინა წელს ემა მისცენ „კანონპროექტს გადასახადების გადიდების შესახებ. მთავრობა კი მოითხოვს ახალ სახსრებს ვიეტნამის ომის მზარდი ხარჯ

სოციალისტური რევოლუციის ორიენტირი

რსდმპ (ბ) VI ყრილობის 50 წლისთავი

მრომოდაათი წლის წინათ 3-5 ივლისის ამბებმა გრიგალივით გადაუარა ჩვენს ქვეყანას.

ჩრდილოეთის ზღვების მოქცევასა და უკუქცევას მგავდა ივლისის რევოლუციური მოვლენები. იერიშებისა და უკანდახევის პროცესმა, დამარცხებამ კიდევ უფრო გაამდიდრა მუშებისა და ჯარისკაცების კლასობრივი ბრძოლის გამოცდილება, გამოჭედა მომავალი გამარჯვება. ცნობილია, რომ ისტორიას ქმნიან და აკეთებენ ადამიანები. მაგრამ ისტორიის განვითარების ტემპი უშუალოდ დამოკიდებულია მასების შეგნებაზე, მისი ორგანიზებულობის ხარისხზე. ამ მხრივ ივლისის დღეები უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ფაქტიური აქ შეუკეთეს მუშებმა და ჯარისკაცებმა ცეცხლი „ისტორიის ლოკომოტივს“ 1917 წლის 25 ოქტომბრისათვის.

და სწორედ ამ დროს, როცა დღის წესრიგში დადგა ხიშტი, თავის მორიგ ყრილობაზე შეიკრიბა რევოლუციური არმიის პოლიტიკური ნაწილი. დიდია რსდმპ (ბ) VI ყრილობის მნიშვნელობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის რუსეთს პროლეტარიატის სახელოვანი ბრძოლის ისტორიაში. მისი მუშაობა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 26 ივლისიდან (8 აგვისტო) 3 (16) აგვისტომდე. ეს იყო პირველი ყრილობა, რომელსაც ბოლშევიკები ატარებდნენ მონარქიის დამხობის შემდეგ.

ყრილობას მუშაობა უხდებოდა რთულ ვითარებაში. ივლისის დღეებმა მკვეთრად შეცვალეს რუსეთის ისტორიის მსვლელობა. კონტრრევოლუციურმა მთავრობამ 18 ივლისიდან მთლიანად აიღო ძალაუფლება ხელში და შეუდგა თებერვლის რევოლუციის დემოკრატიულ მონაპოვართა ლიკვიდაციას. ბონაპარტიზმის რუსულ გამოცდას — კერენსკის ეგონა, რომ ივლისის დღეებით მოამზადა და მოასწორა ნიადაგი, რომელზეც ხანგრძლივად იჯირითებდა აღვირახსნილი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის სამხედრო დიქტატურა. მაგრამ ეს მხოლოდ მაცდუნებელი მირაჟი იყო. პროლეტარიატმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა რევოლუციის დიდი სტრატეგი ვ. ი. ლენინი, უმაღლესი ორგანიზებულობით უკან დაიხია. მაგრამ ამჯერად ლენინის პარტია თავის ყრილობაზე სახავდა კონტრრევოლუციაზე გადამწყვეტი იერიშის მიტანის გეგმებს.

ყრილობა მუშაობდა ნახევრად ლეგალურად. მართალია, ანგარიშები და ყრილობების მასალები იბეჭდებოდა პრესაში, მაგრამ სად მიმდინარეობდა ყრილობა, როგორი იყო მის მონაწილეთა შემადგენლობა — საიდუმლოდ რჩებოდა.

პარტიის წევრთა 240-ათასიან არმიას ყრილობაზე განასახიერებდა 157 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, ხოლო 110 დელეგატი — სათათბირო ხმით. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც გაიარეს პროფესიონალ რევოლუციონერთა ნამდვილი სკოლა-კონსპირაცია, ციხეები, გადასახლებები... ცენტრალურმა კომიტეტმა ყრილობაზე გაავრცელა თავისებური ანკეტა. აი რას ამბობს მისი ძენწი სტატისტიკონები: 171 დელეგატიდან მხოლოდ 4 შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში 1917 წელს. 171 დელეგატიდან რევოლუციური მოღვაწეობისათვის პატიმრობაში ნამყოფი არ იყო მხოლოდ 21 კაცი, ხოლო 5-ჯერ და მეტად პატიმრობაში იყო 41.

ვ. ი. ლენინი ყრილობას ვერ დაესწრო. პარტიამ თავისი ბელადი გადამალა ღრმა იატაკქვეშეთში. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის ლენინურ ბირთვს ყრილობის მთელი მუშაობა მიჰყავდა ლენინურად და ლენინური კურსით. ყრილობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები შემუშავებული იყო ლენინის მიერ.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ორგანიზაციული ბიუროს მოხსენება; 2. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება; 3. ანგარიშები ადგილებიდან; 4. მიმდინარე მომენტი: ა) ომი და საერთაშორისო მდგომარეობა, ბ) პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა; 5. პროგრამის გადასინჯვა; 6. ორგანიზაციული საკითხი; 7. დამფუძნებელი კრების არჩევნები; 8. ინტერნაციონალი; 9. პარტიის გაერთიანება; 10. პროფესიული მოძრაობა; 11. არჩევნები; 12. სხვადასხვა. გარდა ამისა, ყრილობაზე განხილულ იქნა საკითხი ლენინის სასამართლოში გამოცხადების შესახებ. ძირითად საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი, გ. კ. ორჯონიკიძე და სხვ.

ყრილობის პირველი რვა სხდომა გაიმართა პეტროგრადის ვიბორგის რაიონში. დელეგატებს გარდა ყრილობას ესწრებოდნენ სტუმრები — მუშა-ბოლშევიკები და პარტიული მუშაკები. მაგრამ იმ დღეებში კერენსკის კონტრრევოლუციურმა მთავრობამ გამოიტანა სპეციალური დადგენილება, რომლითაც შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ეძლეოდა აეკრძალა ყოველგვარი კრებები და ყრილობები.

29 ივლისს გაიმართა ყრილობის დახურული სხდომა. მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით გადაწყდა დაუყოვნებლივ აერჩიათ ცენტრალური კომიტეტის წევრები და კანდიდატები. ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ლენინი, სტალინი, სვერდლოვი, ძერჟინსკი, შაუმიანი, სერგეევი (არტემი), ურიცკი, ბუბნოვი, მილიუტინი, ნოგინი და სხვ. კანდიდატებად არჩეულ იქნენ ჯაფარიძე, სტასოვა, ლომოვი და სხვები.

ახლა, როცა ნახევარი საუკუნის შემდეგ კითხულობ ამ ისტორიული პარტიული ფორუმის ოქმებს, თვალწინ წარმოგიდგება დაუვიწყარი 1917 წელი, რომელმაც შეძრა მსოფლიო. დელეგატთა ცხარე დისკუსია, კოლექტიური განხილვა რეზოლუციის თითქმის ყოველი პუნქტისა, ზოგიერთი დელეგატის სეპტიციზმი ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობაზე, და მომხსენებლის დინჯი პასუხი: „ბამრიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სწორედ რუსეთი იქნება ის ქვეყანა, რომელიც გზას გაიკაფავს სოციალიზმისაკენ“. მაშინ ეს იყო დიდებული თეორიული, რომელიც შემდეგ აჭსომად აქცია რუსეთის რევოლუციურმა პრაქტიკამ და მისმა ზეგავლენამ მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე.

პარტიის VI ყრილობის დელეგატების გამოსვლებში ტაქტიკურ საკითხებზე ნათლად იგრძნობოდა ის პრინციპული ხაზი, რომელიც ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა თავის ცნობილ სტატიებში „პასუხი“, „სად არის ხელისუფლება და სად არის კონტრრევოლუცია?“, „პოლიტიკური მდგომარეობა“, „ბონაპარტიზმის დასაწყისი“, „ლოზუნგებისათვის“ და სხვ.

ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ როგორც ლენინი მიუთითებდა, იყო რევოლუციის მშვიდობიანი წინსვლითი განვითარების ლოზუნგი. იმ პერიოდში (28 თებერვლიდან 4 ივლისამდე) არცერთ კლასს, არცერთ სერიოზულ ძალას არ შეეძლო ხელი შეეშალა საბჭოებისათვის აეღოთ ძალაუფლება. მაგრამ 4 ივლისს შეწყდა ყოველივე ამის შესაძლებლობა. წვრილი ბურჟუაზიის მიმნდობლობამ, მისმა მერყეობამ ხელ-ფეხი გაუხსნა კონტრრევოლუციას. ამიტომ ახლა, ივლისის ამბების შემდეგ, საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის ლოზუნგის წამოყენება ხალხის მოტაცება იქნებოდა.

რსდმპ (ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილებები ტაქტიკურ და პროგრამულ საკითხებზე ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, თუ როგორ ამზადებდა პარტია მასებს შეიარაღებული აჯანყებისათვის. „ბოლშევიკთა პარტიამ, — ნათქვამია სკკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — რუსეთის პროლეტარიატს მისცა დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის მეცნიერული პროგრამა, პოლიტიკურად დარაზმა და წარმართა თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. გოლშევიკების პარტიის პოლიტიკა შეესაბამებოდა მუშათა კლასის, უფლა მშრომელის ძირეულ ინტერესებს და ამიტომ მას მხარი დაუჭირა ხალხის უმრავლესობამ“.

ვ. ი. ლენინის სასამართლოში გამოცხადების საკითხი ყოველმხრივ იქნა განხილული ყრილობაზე. დელეგატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარყო მცირე ჯგუფის (ვოლოდარსკი, მანუილსკი, ლაშევიჩი) მოსაზრება ბელადის სასამართლოში გამოცხადების შესახებ. ნათელი იყო, არავითარი სასამართლო არ შედგებოდა, კონტრრევოლუცია ბელადს სასამართლომდე გაუსწორდებოდა. ამიტომაც ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ლენინი არ გამოცხადებულიყო სასამართლოში და გამოითქვა მკაცრი პროტესტი რევოლუციის ბელადისათვის ცილის დაწამების წინააღმდეგ.

დელეგატებმა მტკიცედ უარყვეს ბუხარინის მცდარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ გლეხობა თითქოს მთლიანად ბურჟუაზიის მხარეზე იყო და არ გაჰყვებოდა რევოლუციაში მუშათა კლასს. ყრილობამ ხაზი გაუსვა იმას, რომ არ შეიძლება ერთნაირად შეფასდეს ყველა გლეხი. არის შეძლებული გლეხობა, რომელიც ნამდვილად არის ბურჟუაზიის მხარეზე, მაგრამ ამასთან ერთად არის ღარიბი გლეხობა, რომელიც მხარდამხარ მიჰყვება პროლეტარიატს და არის მისი მტკიცე მოკავშირე რევოლუციისათვის ბრძოლაში.

ყრილობის მთელმა მუშაობამ, მის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ცხადყვეს პარტიის მონოლითურობა და სიმტკიცე სოციალისტური რევოლუციის ლენინური იდეების განხორციელებაში.

შეიარაღებული აჯანყებისაკენ რომ აიღო კურსი, ყრილობამ კვლავ გაიფრთხილა პარტია, ეს არ ნიშნავს დაუყოვნებლივი მოქმედებისაკენ მოწოდებასო. პროლეტარიატი „არ უნდა წამოეგოს პროვოკაციას ბურჟუაზიის მხრივ, — ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, — რომელიც ძალიან მოწადინებულია ახლანდელ მომენტში გაიწვიოს პროლეტარიატი ნაადრევ ბრძოლაში“. ყრილობამ თავისი მანიფესტით გაფრთხილა კონტრრევოლუცია, რომ იგი ნაადრევად ზეიმობს გამარჯვებას. მანიფესტში ნათქვამი იყო: „დამშეულთ ტყვიებით ვერ დააპურებ. დედებს და ცოლებს ცრემლებს კაზაკის მათრახით ვერ მოწმენდ. ტანჯვა-ვაების ზღვას ჭამანდითა და მარუუუით ვერ დააშრობ. ხალხებს ხიშტით ვერ დაამშვიდებ. მრეწველობის ნგრევას გენერლის შეყვარებით ვერ შეაჩერებ“.

ლენინის პარტიისათვის უცხოა ავანტიურიზმი. იგი 1917 წელს სერიოზულად და მასების წინაშე პასუხისმგებლობით არჩევდა მომენტს შეიარაღებული აჯანყებისათვის. პარტია გამოხატავდა მშრომელთა მილიონიანი მასების ნებას და თავის გზაზე უკუაგდებდა შეთქმულთა ვიწრო წრის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ყოველგვარ ცდას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ყრილობის მუშაობაში იყო პარტიის ახალი წესდების მიღება და გადაწყვეტილება ბოლშევიკური პარტიის ახალი პროგრამის შემუშავების აუცილებლობის შესახებ.

რსდმპ (ბ) VI ყრილობა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის და მისი ავანგარდის — ბოლშევიკების პარტიის ცხოვრებაში. ყრილობამ შეიარაღებული აჯანყების ლენინური კურსი მთელი პარტიის, მშრომელი მასების მოქმედების პროგრამად გამოაცხადა.

ეს იყო 50 წლის წინათ. ქვეყანა ემზადებოდა სოციალისტური რევოლუციისათვის. იმუხტებოდა „ავრორას“ ქვემეხების ჭურვები... პეტროგრადში, ნევის პროსპექტზე დგებოდა კაცობრიობის დიდი განთიადი.

ბ. ნაჭყებია.

* * *

სურათებზე: ზემოთ — რსდმპ VI ყრილობის მანიფესტი; ქვემოთ სახლი პეტროგრადში, ბ. სამსონიევსკის შესახვევში, სადაც 1917 წლის 26 ივლისს მუშაობა დაიწყო რსდმპ (ბ) VI ყრილობამ.

საკითხი.

საბჭოთა ქართველების განმეორებითი ბრძოლაში

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის გაფართოებული სხდომა

საბჭოთა ხალხი დიდი პატრიოტული და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებება სოციალისტური სახელმწიფოს სახელოვან ნახევარი საუკუნის იუბილეს. საიუბილეო წელს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებსაც დაუსახა პასუხსაგები ამოცანები — სოციალისტური კანონიერების შემდგომი გამტკიცება, სამშრომლო დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერება, დამნაშავეობის მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრა.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ეს ამოცანები, დასმული იყო საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ალიოშა ტალაქაძის სახელობრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსა და უმაღლესი სასამართლოს წარმომადგენლებთან ერთად.

მოხსენება „1967 წლის პირველ ნახევარში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ გაიკითხა საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ პროკურორი მ. არუთენი, აჭარის ასსრ პროკურორი დ. ბაჯელიძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მოადგილეობის შესრულებელი ხ. გაგლოევი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის თანამემწე ი. ლავროვი და სხვები.

კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს პროკურატურის ორგანოებმა გააქტიურეს ბრძოლა ხულიგნობისა და სხვა სამში დანაშაულის წინააღმდეგ. განმტკიცდა საქმიანი კონტაქტი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სასამართლოს ორგანოებთან, საზოგადოებრივობასთან და მშრომელთა კოლექტივებთან, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობას. ამის შედეგად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა დამნაშავეობა. შემცირდა აგრეთვე განსაკუთრებით საშიში დანაშაულობანი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების, მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების „ხულიგნობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, — იტიუარა გამოყენებმ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ხელი შეუწყო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერებამ დადებითი გავლენა მოახდინა ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

რესპუბლიკის პროკურატურამ საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან ერთად განაზოგადა სასამართლო პრაქტიკა ხულიგნობის საქმეთა გამო. საქმეებს ხულიგნობის შესახებ ხშირად იხილავენ სასამართლეები გამსჯელ სესიებზე, რომლებიც ეწყობა უშუალოდ საწარმოებსა და დაწესებულებებში. ასეთი საქმეების განსახილველად სულ უფრო ფართოდ იბამენ საზოგადოებრივ ბრალმდებლებს.

რესპუბლიკის პროკურატურა სისტემატურად სწავლობდა და ანალიზებდა, თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ, ამასთანავე, ამ ბრძოლის ანალიზი მოწმობს, რომ საქართველოს მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში ჯერ კიდევ საკმაოდ არ მუშაობენ და არ იღებენ ღონისძიებებს დამნაშავეობის ხელშეწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრისათვის.

ამჟამად რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილებამ დასახა გამომძიებელთა პროფესიული ოსტატობის ამაღლების ღონისძიებანი. გამომძიებელებისათვის ეწყობა სემინარები როგორც კრიმინალისტური ტექნიკის დასაუფლებლად, ისე ცალკეული სახეობის დანაშაულის გამოძიების მეთოდიკის შესასწავლად. ასეთი სემინარები იმართება აგრეთვე პროკურორებისა და მათი თანაშემწეებისათვის, რომლებიც გამოძიებას ადევნებენ თვალყურს.

საქართველოს პროკურატურაში ბევრი რამ კეთდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დატაცების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების შესწავლას, ხორცელდება მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი. შემცირდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების შემთხვევები ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის გზით.

ამ ბოლო ხანს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის განყოფილებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა სოციალისტური საკუთრების დატაცების შემთხვევების გამოსაელინებლად. მაგრამ დატაცების იდეოლოგიის ნაშთები ჯერ-ჯერობით ადგილ-ადგილ ადგილობრივ ადგილებში ინარჩუნებენ ადგილს. ეს ეხება ბაკურიანის, ბორჯომის, ფასანაურის, ბაზალეთის,

საერთაშორისო სლოვაკეთა

ეპასუხი ცილისმწამებლებს

ოსტია, 7 აგვისტო. (საკდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იუბილე და მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლის ეპოკალური შედეგი სულ უფრო აბორტებს იმპერიალიზმის იდეოლოგებს, წერს დღეს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“.

სტატიაში „იდეოლოგიურ დივერსანტთა არასახარბიელო მისია“ გაზეთი აღნიშნავს, რომ ოქტომბრის იუბილეს წინ იმპერიალისტებმა თავისებური „სავანგებო წესები“ შემოიღეს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ანტიკომუნისტურ ცენტრებში, კვლავ ფეხზე დაყენეს „ანტიკომუნისტური კალის“ ოსტატები.

ბურჟუაზიული იდეოლოგები ამზადებენ ყალბ მასალებს, რომელთა მიზანია დაამახინჯონ ჩვენი ეპოქის ძირითადი შინაარსი, რაც გამოიხატება მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლით, ცდილობენ დაამტკიცონ მომავალი კომუნიზმს არ ეკუთვნისო.

ისინი ცდილობენ შეალამაზონ კაპიტალისტური სასტუმრო, რომელსაც ოქტომბერმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა, საეკვოდ გახადონ სოციალისტური წყობილების მიღწევები, რომელთაც დაამტკიცა, რომ უდიდესი ისტორიული უპირატესობა აქვს დრომოჭმული კაპიტალიზმის წინაშე. ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი დღესასწაულია. ეს დღესასწაული მხოლოდ სოციალური პროგრესის მტრებს აშინებს.

მეგობრობის ინტერესებისათვის

ანკარა, 7 აგვისტო. (საკდესი). გუშინ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა პატარა სამაზრო ქალაქ სეიდიშეხირში საზეიმო ვითარებაში ჩაუყარა საძირკველი ალუმინის ქარხანას, რომელიც აიგება საბჭოთა პროექტით და საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. ქარხანა, რომლის მშენებლობა 1972 წელს უნდა დამთავრდეს, წელიწადში გამოუშვებს 200 ათას ტონა თიხა მიწას, 60 ათას ტონა ალუმინს და 25 ათას ტონა ალუმინის ნახევარფაბრიკატებს.

თავის გამოსვლაში პრემიერ-მინისტრმა დემირელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თურქეთის ეკონომიკისათვის ალუმინის ქარხანას — ასეთი ტიპის უდიდეს საწარმოს-ზიანში. პრემიერ-მინისტრმა მადლობა უძღვნა საბჭოთა მთავრობას ტექნიკური დახმარებისათვის, და თქვა: „ისევე როგორც ადამიანებმა კარგად უნდა იცხოვრონ ერთმანეთთან, ქვეყნებმაც უნდა ამყარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა. ეს საწარმო ახალი ეტაპი იქნება თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების გზაზე და ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცებას“.

სსრ კავშირის ელჩმა ა. ა. სმირნოვმა წარმატება უსურვა თურქ ხალხს ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი გეგმების განხორციელებაში. მან იმედი გამოთქვა, რომ ალუმინის ქარხნის მშენებლობა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას.

ედინბურგის მერი:

ვიმეგობროთ!

საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ჭალაქ ედინბურგის ლორდ-პროვოსტის (მერის) ჰერბერტ ა. ბრეჰნინის ყველა შეხვედრის ლეიტმოტივი იყო: რომ იმეგობრო, უკეთ უნდა იცნობდე. საუბრების დროს ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი, რომ ედინბურგი და თბილისი დაამყარებენ.

ჰერბერტ ა. ბრეჰნინი და მისი თანმხლები პირი ედინბურგის მერის საბჭოს წევრი თომას მორგანი საქართველოში ათ დღეს იყვნენ. მათ მოიარეს რესპუბლიკის რაიონები, გაეცანენ ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შრომას. კვირის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა დარბაზობა გამართა ედინბურგის მერის პატივსაცემად.

7 აგვისტოს მოსკოვში გგმგზავრების წინ ჰერბერტ ა. ბრეჰნინმა საკდესის კორესპონდენტს მ. შვარცმანს მისცა ინტერვიუ.

— ჩვენ ყველა პირობა გვაქვს, რათა მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ ედინბურგსა და თბილისს შორის, თქვა მერმა. შინ რომ დაბრუნდებით, მერიის საბჭოს, ედინბურგელებს ვეტყვით, რომ თბილისთან დამოყვრება გვინდა. ჩვენ ედინბურგში მივიწვევთ თბილისის დელეგაცია.

სასიამოვნოა გაცნობოთ, განაგრძო ჰერბერტ ა. ბრეჰნინმა, რომ შოტლანდიასა და საქართველოს შორის ურთიერთობა უკვე მყარდება. თბილისში ყოფნისას მივიდე შოტლანდია-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრილი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოში გამოვეზავნოთ ჩვენი ხალხური ცეკვის ანსამბლი. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიმეგობრებთ!

შემდეგ ედინბურგის მერმა განაცხადა, რომ დიდხანს ეხსომება საქართველოში გატარებული დღეები. „ყველაფერმა, რაც ვნახეთ, აღგვაფრთოვანა. სულით და გულით ვუსურვებთ საბჭოთა ადამიანებს, თვალსაჩინო წარმატებებს“.

ჰერბერტ ა. ბრეჰნინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვამ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. „ჩვენ ვნახეთ შესანიშნავი სასახლეები, ჯანმრთელობის კერები, კლუბები, სკოლები, სტადიონები“.

დასასრულ ედინბურგის მერმა გულითადი მადლობა უძღვნა ყველას გულითადი მასპინძლობისათვის.

(საქდესი).

კეთილშობილური და პაციფისტური პოზიცია

ბეირუთი. ივნისში არაბულ სამყაროს თავს დაატყდა ვერაგული აგრესია, რომლის ორგანიზატორებს სურდათ გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცათ არაბული ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, დაემხოთ პროგრესული-ეროვნული რეჟიმები არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სირიაში და კვლავ თავს მოეხვიათ არაბებისათვის კოლონიალიზმი. ეს ნათქვამია სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, რომელიც ლიბანის პრესაში გამოქვეყნდა.

თავიანთი მუხანათური აგრესიით, აღნიშნულია დადგენილებაში, იმპერიალიზმსა და მის მარionეტებს ისრაელს სურდათ შეერყვიათ არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა.

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „იმპერიალისტებმა“ ვერ მიაღწიეს თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს“ და ხაზგასმულია „მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმის იმ ძალების კეთილშობილური და პატიოსანი პოზიცია, რომელთა ავანგარდში დგას საბჭოთა კავშირი“. მათ გადამწყვეტი როლი შეასრულეს აგრესორის ალაგმვაში, აგრესიის შეწყვეტასა და არაბთა უფლებების დაცვაში. და ახლა საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობით უდიდეს მეცადინეობას ახმარს იმას, იბრძვის იმისათვის, რომ აგრესორმა ჯარები გაიყვანოს მიტაცებული არაბული ტერიტორიებიდან. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები არაბულ სახელმწიფოებს უწევენ ყოველგვარ საჭირო დახმარებას, რათა მათ აღადგინონ თავიანთი ძალიერება და თავდაცვისუნარიანობა“.

დასასრულ სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს „განამტკიცონ არაბული ქვეყნების ფრონტი სოციალისტურ სახელმწიფოებთან საერთო მტრის — საერთაშორისო იმპერიალიზმისა და მისი მეთაურის ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა, ისე როგორც არასდროს, საჭიროა განვამტკიცოთ არაბული ქვეყნების სოლიდარობა დიდ საბჭოთა კავშირთან“.

ისრაელ აგრესორებს სიკვდილი და ნგრევა მოაქვთ ოკუპირებული რაიონების მოსახლეობისათვის. ისინი არღვევენ სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს და ამუარად იგდებენ ტყვედ წაყვანილ არაბ ჯარისკაცებს.

სურათზე: პაპანაქება სიცხეში, უსაჭმლოდ და უწყლოდ სხედან ტყვე არაბი ჯარისკაცები და მათ შეიარაღებული ისრაელი ჯარისკაცები სდარაჯობენ.

ფოტო „ლაიფ“ — ახალი ამბების სააგენტოსი.

გაფიცვა იერუსალიმში

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაფიცვა გამოაცხადეს არაბმა ვაჭრებმა და მაღაზიათა მფლობელებმა იერუსალიმის იორდანიის სექტორში, რომელიც ისრაელის ხელისუფლებამ უკანონოდ ეგრეთ წოდებულ „დიდი იერუსალიმის“ ნაწილად გამოაცხადეს. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ამ ქალაქიდან იტყობინება, გაფიცვა ეწყობა ისრაელის ადმინისტრაციის იმ მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს იერუსალიმის იორდანიის ნაწილის ანექსიას.

დღეს დილით დაიკეტა ქალაქის თითქმის 8 ათასივე მაღაზია და დუქანი. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, გაფიცვა „თითქმის ასი პროცენტით ეფექტიანია“.

გასულ კვირაში ისრაელის ხელისუფლებამ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში გაგზავნეს ქალაქის ყოფილი არაბული ადმინისტრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის იერუსალიმის გუბერნატორი, რომელსაც ბრალად დასდეს „ისრაელის საწინააღმდეგო საქმიანობა“.

სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

●

საერთაშორისო ინტერვენციის საფრთხე

ნიუ-იორკი. რაკეტების, საარტილერიო ჭურვებისა და თვითმფრინავების მილიონობით ნამსხვრევი ბიბარა მაპერში ამერიკის ყანაყის ბაზის, ფილადელფიის შეიდეგად. უმაგალითო ძალით ავეიქერეს ეს ყანაყრები მოსპარ ამერიკის ექვსი თვითმფრინავი და სამმარი მან სალების დიდმნიშვნელოვანი საქონელი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, დანანგში აფეთქება მოხდა 5 აგვისტოს, როცა ჯდებოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეზენიტეთა ცეცხლით დაზიანებული ამერიკის თვითმფრინავი, რომელმაც მართვა დაკარგა დაჯდომის დროს, შემდეგ ცეცხლი მოეკიდა და აფეთქდა. (საკდესი).

თათბირი თეთრ სახლში

ვაშინგტონი. ამერიკის ყოფილმა ელჩმა საიგონში გენერალმა ტეილორმა და საზღვარგარეთ საქმიანობის საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ კლიფორდმა პრეზიდენტ ჯონსონს წარედგინეს მოხსენება სამხრეთ ვიეტნამში, ტაილანდში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ კორეაში თავიანთი მოგზაურობის შესახებ. ამ ქვეყნებში მათ იმოგზაურეს პრეზიდენტ ჯონსონის დავალებით და მოგზაურობის მთავარი მიზანი ის იყო, რომ ეს ქვეყნები აეძულებინათ დამატებითი ჯარები გაგზავნონ ვიეტნამში. ტეილორი და კლიფორდი უნდა სწვევოდნენ ფილიპინებსაც, მაგრამ ფილიპინების ხელისუფლებამ არ მიიღეს ისინი და ვიზიტი ჩაიფუშა.

პრეზიდენტის თათბირი ტეილორთან და კლიფორდთან ორ საათს გრძელდებოდა.

ტეილორისა და კლიფორდის მისია ძნელი იყო, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების აზიელი მოკავშირენი ვიეტნამის ომში ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნას სამხრეთ ვიეტნამში დამატებითი ჯარების გაგზავნის შესახებ ცივად მოეკიდნენ. თათბირის შემდეგ ტეილორი და კლიფორდი შეხვდნენ ჟურნალისტებს. მაგრამ უარი თქვეს ამის თაობაზე გაეკეთებინათ რაიმე კონკრეტული განცხადება.

რადგან მოლაპარაკება საიდუმლო იყო, ჯერ კიდევ ადრეა ვიმსჯელოთ, თუ რა შედეგები მოჰყვა ორი ამერიკელი ემისრის ვოიაჟს აზიის ქვეყნებში, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად მონაწილეობენ აგრესიაში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ, ერთი ცხადია, რომ ეს ნაბიჯი დაკავშირებულია ამერიკის ბინძური ომის ესკალაციის ახალ ეტაპთან. (საკდესი).

კონფრერეოლუციონერთა ჯგუფი დაპატიმრებულია

პანანა. როგორც კუბის რადიო და გაზეთი „გრანმა“ იუწყებიან, პინარ-დელრიოს პროვინციაში დაუპატიმრეს კონტრრევოლუციონერთა ჯგუფი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან შეგზავნეს.

გარდა ამისა, მატანსასის პროვინციაში დაპატიმრებულია ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი. დაპატიმრებულთ ჰქონდათ სპეციალური იარაღი, რადიოაპარატურა და სხვა ალჭურვილობა.

ინდოეთში

„ეკონომიკური ბლოკადა“

ნიუ-დელი, 7 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული ეკონომიკური საბჭოს ბიუროს ბოლო სხდომაზე, ინფორმაციულ ცნობებზე დაყრდნობით, ინდოეთის ეკონომიკურ ექსპერტებმა ინდოეთის ეკონომიკაზე „ეკონომიკური ბლოკადის“ ზეგავლენის ანგარიში ჩააბარეს.

ეკონომიკური ექსპერტების ანგარიშის ძირითადი ნაწილი ეხება ინდოეთის ეკონომიკაზე ამერიკის ეგრეთ წოდებული „ეკონომიკური ბლოკადის“ ზეგავლენას. ანგარიშში ნათქვამია, ინდოეთის ეკონომიკა ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ინდოეთის ეკონომიკურ ექსპერტებს ეგონათ

ჩვენს ყველა-ჟანრებში

გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

დასვენების პარკი

ახმეტა. დიდი და ლამაზი სოფელია მატანი. სოფელი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. საცხოვრებელი სახლების სახურავებზე გამოჩნდა სატელევიზიო ანძები. ხალხის სამსახურშია ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, პოლიკლინიკა, ბიბლიოთეკა, საშუალო სკოლა, მაღაზიები. სოფლის ცენტრში აღმართულია ობელისკი შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. შენდება კულტურისა და დასვენების პარკი.

(„კომ“. კორ.).

მომავალი ჯარისკაცის უნივერსიტეტი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა ღირსეული ცვლა მოუმზადონ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის განყოფილებისა და ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა „მომავალი ჯარისკაცის უნივერსიტეტი“. წელს ამ უნივერსიტეტში, რომელიც პირველია რესპუბლიკის საწარმოთა შორის, 80-ზე მეტი ავტომშენებელი სწავლობს.

უნივერსიტეტის რექტორმა, თადარიგის პოდპოლკოვნიკმა ბ. ოსეფაშვილმა წვევამდელებისათვის ლექციების წასაკითხავად მოიწვია თადარიგის გენერალი პ. ჩხობაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კ. მეძველია, ქალაქის სამხედრო კომისარი, პოლკოვნიკი გ. ფაჩუაშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. გურეშიძე, აგრეთვე პედაგოგები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

მიეწყო წვევამდელთა შეხვედრები სამამულო ომის ვეტერანებთან და ქუთაისში მომუშავე მწერლებთან.

◆

მოკლედ

შინაარსისაკენ. მომზიდველად ბატარებენ ზაფხულის დღეებს გორელი პიონერები გორის ბამბეულის კომბინატის ჯავის პიონერთა ბანაკში. აქ პირველ ნაკადში დაისვენა 300-მდე პიონერმა. ამდენივე ბავშვი ისვენებს მეორე ნაკადში.

ტყიბულის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა შ. დადიანის პიესა „გეგეჭკორი“. სპექტაკლი დადგეს თვით თეატრის მსახიობებმა რ. ჟორჟოლიანმა და ნ. ქოთამაძემ. (საქდესი).

საიუბილეო მოგზაურობა

1962 წელს თბილისიდან პირველად გავიდა ტურისტული მატარებელი „საქართველო“. ხუთი წლის მანძილზე მან ჩვენი რესპუბლიკის ათასობით მშრომელი ჩაიყვანა რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში...

მიმდინარე წლის ოქტომბრიდან იუბილეს დღეებში მეგობრობის მატარებელი კვლავ გაუდგება გზას. ეს იქნება მისი მეხუთე საიუბილეო მოგზაურობა. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ამოგზაურებს 1.200-ზე მეტი კაცი — მუშები, მოსამსახურეები, მინდვრებისა და პლანტაციების მშრომელები, სტუდენტები. ისინი მოინახულებენ ქალაქებს მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, ტალინს, ვილნიუსს, რიგას.

ტურისტულ მატარებლებს მიმდინარე წელს მოგზაურობაში გაისტუმრებენ აფხაზეთისა და აჭარის ტურიზმის საოლქო საბჭოებიც.

ცნობისმოყვარეთა კუთხე

მოტოციკლი ღრუბლებისაკენ მიეჭქრის

„ორი წლის თავდადებული მუშაობა მაღალმთიანი მოტოციკლის შექმნაზე და იალბუზის შტურმი წარმატებით დამთავრდა. პირველად მსოფლიოში იალბუზი დაყრობილია მოტოციკლით“.

თავისი შინაარსით ეს უნიკალური დეპეშა ნალჩიკიდან მოვდო მთელ პლანეტას.

სწორედ ორი წლის წინათ საკავშირო მაღალმთიან გეოფიზიკურ ინსტიტუტში, რომელიც ქალაქ ნალჩიკშია, კონსტრუირებულ იქნა სპეციალური მოტოციკლი ალპინისტური „ასკელის“ შესასრულებლად.

ორთვალა „ალპინისტის“ სახელწოდებაა „იალბუზი—1“.

ალპინისტური მოტოციკლი შეიქმნა სამამულო მოტოციკლ M 1—1 E ბაზაზე. ამ საქმის წამომწყებნი და ორგანიზატორები არიან ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გ. სულაქველიძე და ინჟინერ-კონსტრუქტორი სსრკ სპორტის ოსტატი ალექსანდრე ბერბერაშვილი.

დაძაბული მუშაობა უკან არის მოტოვებული, ყველა იქსპერიმენტი და გამოთვლა დამთავრდა.

აი, დადგა დღე, როცა ა. ბერბერაშვილმა სტარტი აიღო ღრუბლებსა და ნისლში გახვეული მწვერვალისაკენ.

5595 მეტრზე — ასეთ სიმაღლეზე არ ასულა მსოფლიოში არცერთი მოტოციკლისტი. ალექსანდრე უკან, ქვეითად წამოვიდა. პირველი მოტოციკლი, რომელმაც დაიპყრო ევროპაში ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი — იალბუზი, დატოვებულ იქნა მწვერვალზე ამ მიღწევის აღსანიშნავად.

მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტის თანამშრომლებისმიერ შექმნილმა ალპურმა მოტოციკლმა მიიღო საგზური ცხოვრებაში. აი რას ვკითხულობთ სამეცნიერო დასკვნის ტექსტში.

„მოტოციკლი „იალბუზი—1“ სავსებით დამაკმაყოფილებელი ტრანსპორტია სამთო პირობებისათვის. ის წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც სამთო მშველელი რაზმებისათვის, ისევე მთაში საძიებო სამეცნიერო ექსპედიციებისათვის.

ამჟამად მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტი მუშაობს უფრო მძლავრი სამთო მოტოციკლის შექმნაზე, რომელიც უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ აიღებს სტარტს.

კეთილშობილება

ზესტაფონი. ქვედა საქარა-ზესტაფონის მარშრუტის ავტობუსში მაჯის ოქროს საათი დავკარგე. მისი პოვნის იმედი აღარ მქონდა. მაგრამ სულ მალე ჩემთან მოვიდა ქვედასაქარელი შალვა მესხი და ჩემი საათი გადმომცა.

ვ. კიკნაძე,
ზესტაფონშვილის პარტიიუროს მდივანი.

საჩხერე. ვიმგზავრე ხევიდან სურამამდე ახალციხის ავტობუსით (სანატორიუმში მიმყავდა ბავშვი დასასვენებლად). ავტობუსიდან რომ ჩამოვედი, შიგ დამრჩა ჩემოდანი სხვადასხვა ნივთებით.

მეორე დღეს სახლში რომ ვბრუნდებოდი, ჩუმათელეთში ველოდებოდი ავტობუსს. ახალციხიდან მომავალი იგივე ავტობუსი გაჩერდა. წინადღით რაც დამრჩა ავტობუსში, ყველაფერი უკლებლივ ჩამაბარა მძღოლმა ვასილ ელოიძემ, რომელიც მუშაობს ახალციხის ავტოსატრანსპორტო კანტორაში.

ოთ. ლომიძე.

ბოცხალ ლაბორატორიებში

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

პირველი წამოდგა მელაანელი (გურჯაანის რაიონი) მ. თოდაძე. მას მანქანამ ოთხიანი დაუწერა. მეორე იყო თამაზ მოგელაშვილი, რომელმაც ხუთიანი დიპლომი აიღო. ხუთიანით გაამარა გამომცდელები და დამსწრენი გაგრის რაიონის კოლხიდის სამუალო სკოლის კურსდამთავრებულმა მერი მიქაძემ. მანქანებთან თავდახრილ, შეშფოთებულ ახალგაზრდებსაც შენიშნავდით. უკვე აღარ გვირდებთ გამამარტება, რომ მათ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღეს.

— ჩვენთან შარშან და წელს მიაღწია გამოცდები მოეწყო ღიად, — გვეუბნება მიმღები კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ი. სარიმეილი, — მას ესწრებიან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე მშობლები. გვაქვს სხვა სიახლეც. წელს პირველად დღის სტაციონარზე და დაუსწრებელ განყოფილებაზე ერთდროულად ეწყობა მისაღები გამოცდები. ეს ასე იმიტომ გადაწყვეტეთ, რომ, ჯერ ერთი, შემომსვლელნი ნამდვილად უფრო გაარკვევს, რომელი ფაკულტეტი, რა სპეციალობა და სწავლების რა ფორმა სურს, მეორე, რიგა გამოცდები ორ ეტაპად ეწყობოდა, მთელი წელიწადი ფუსფუსი იყო ინსტიტუტში, რაც ხელს უშლიდა ნორმალურ მეცადინეობას.

ჩვენთან მისაღებია დღის სტაციონარზე 425 კაცი, დაუსწრებელ განყოფილებაზე 500 ახალგაზრდა. მათ დიდ კონკურსში უნდა გაიმარჯვონ. მაგალითად, მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე 25 ადგილისათვის 227 ახალგაზრდა იბრძვის, მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე კი ამდენივე ადგილისათვის 152. ასევე დიდი კონკურსია აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობის, აგრონომიული და სხვა ფაკულტეტებზე. ნამდვილად გვაქვს საშუალება შეეარჩიოთ საუკეთესონი.

შემოსასვლელში ერთი შეუწუხებული მშობელი შეგვხვდა. დავიღუპე, რეკტორო, თურმე ჩემს შვილს ახლა ჭქონია გამოცდა, ჩვენ კი შეცდომით სხვა საათი ჩაგვიწერია.

— დამშვიდდით, თქვენს შვილს შეუძლია გამოცდები ჩაიბაროს ამ საგნისათვის განაუთვნილი დღეების რომელიც გნებავთ მონაკვეთში, გინდ დღეს, გინდ ხვალ. ყმაწვილი არ აიღელვოთ, არ ანერვიულოთ. რექტორი მოგვიბრუნდა და გვითხრა, დიახ, გაფრთხილებული მყავს ყველა შემომსვლელი, მათი მშობლები, თუ რომელიმე მათგანი გამოცდის დაწესებულ დროში თავს ვერ ერანობს კარგად, ან ვერ არის განწყობაზე, გამოცდა შეუძლია ჩაიბაროს სხვა ცვლაში ამ საგნისათვის გამოყოფილ დროს, მხოლოდ კი ერთხელ. თუ სხვა დროს ასობით განცხადება და აკადემიყოფობის ცნობები გვეგროვდებოდა, წელს არც ერთი ასეთი არ მიგვიღია. ჩაიწერეთ, ესეც სიახლეა.

ე. მამალაძე.

მთაში მწყემსებთან

ლამაზია მამისონის ულელტეხილი ზაფხულის დღეებში, როცა მწვანედ მობიბინე ფერდობებზე ლაღად შეფენილი პირუტყვი ნებივრობს. აქ ზაფხულის პერიოდში ფერმის პირუტყვს აძოვებს ონის რაიონის ბევრი კოლმეურნეობა.

ამ დღეებში მამისონის მთაზე მყოფ მეცხოველეებს ესტუმრნენ ონის რაიკომკავშირის და კინოფიკაციის მუშაკები. ზვარეთის, ფარახეთისა და კომანდლის მეცხოველეებთან ღია ცის ქვეშ გაიმართა დატარებითი ვაჭრობა. აქ ჩამოიტანეს სამრეწველო საქონელი, სასურსათო პროდუქტები. შესვენების დროს მეცხოველეებს დღეგანდელი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ესაუბრა პარტიის ონის რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგე გივი დგვარელი. ამავე თემაზე გასაუბრებაში პასუხს იძლეოდა ონის კინოფიკაციის განყოფილების გამგე ქ. გავაშელაშვილი.

მთაში ახალგაზრდა მწყემსებს ნხარში უდგას წარჩინებული მეცხოველე ფოტინე ტაბუცაძე, რომელიც 25 ძროხას უვლის. მასთან მუშაობს მწველავი ქალი ნინო ტომარაძე. იგი 25 წელია ფერმაში მუშაობს. გვიან საღამოს, როცა მთაში ჩამოწვა ბინდი და ვარსკვლავები ნათურებივით აელვარდნენ, მეცხოველეებს ღია ცის ქვეშ უჩვენეს კინოფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. მეცხოველეები კმაყოფილი დარჩნენ.

დ. ხახიაშვილი.

გული მთებისკენ მიუწევს...

ფოტოეტიუდი **თ. ფუტკარაძისა.**

ტურისტული ბილიკებით

თუ ერთხელ მაინც ყოფილხართ საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეში, სვანეთში, გინახავთ მდინარე ენგურის ხეობა, უშბისა და თეთნულდის სიდიადე, გინახავთ როგორ ამოდის მზე კავკასიონს იქით, — ეს მხარე არასოდეს არ დაგავიწყდებათ.

მესტიელები აუცილებლად სიამაყით განახვევენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, სადაც ბევრი საყურადღებო ძეგლი, საქართველოს მატერიალური კულტურის განძი ინახება: სურა, რომელიც ამირა ქავთარს მიუძღვნია თამარ მეფის მამის, გიორგი მესამისადმი, ოთხთავი, წიგნი, რომელიც 897 წელს გადაუწერიათ ქართველებს შატბერდში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა). აქვეა სვანეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი მეტალურგიის განვითარების ნაშთები.

მაგრამ როგორც ყველგან, აქაც ყველაფერს აშშვენებენ, შნოსა და ლაზათს აძლევენ ადამიანები. არ დაგავიწყდება კავკასიონის სახურავქვეშ მცხოვრები მთის შვილების, ამ მთებიანი ზვიადი და საოცრად კეთილი ბუნების ადამიანები, რომლებმაც თვიანთი კუთხე შესანიშნავი სახლებით, სკოლებით, კულტურის კერებით, საკოლმეურნეო ფერმებით დაამშვენეს.

ე. ჩიქავა.

სურათზე: სვანეთი. ტურისტული ბილიკებით.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

მიცხეილ მესხის საიუბილეო გოლები

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი). 6:1 (1:0) თბილისი. 7 აგვისტო. „დინამოს სტადიონი. მსაჯი ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ატა).

„დინამო“ — კოტრიკაძე (ურუშაძე), რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, გ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, კუტიკაძე, ასათიანი (დათუნაშვილი), მეტრეველი, ნოდია, მესხი; „ზენიტი“ — ბელკინი, ლოსოვი (ნაუმოვი), ნეპომნიუეევი, სიროვი, ვინოგრადოვი, სადირინი, ნიკოლაევი, გუსევი, გონჩაროვი, რუდი, სოლოვიოვი.

უკვე მეორე წუთზე სიჭინავა შესანიშნავად შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანში, დაარტყა, ბურთი მოხვდა მცველებს და ნოდიას ისევ დარჩა, რომ კარის ხაზიდან გოლი გაეტანა. თამაშის სადავეები თავიდანვე მასპინძლებმა აიღეს ხელში, სტუმრები მიჯაჭვულნი იყვნენ საკუთარ კართან. მოედნის ცენტრში განსაკუთრებით აქტიურობდა სიჭინავა, ხოლო ფლანგებიდან ლენინგრადელთა დაცვას სულის ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ მარცხნიდან მ. მესხი და მარჯვნიდან ს. მეტრეველი. თბილისელებმა, რომ იტყვიან მოედანზე ცეცხლი დაანთეს. მაგრამ „ზენიტის“ კარი იხსნა ხან ძელმა, ხან მეკარემ. დინამოელები მოედნის ბატონ-პატრონნი გახდნენ.

პირველი ტაიმის მეოცე წუთიდან თავის ძალებში მეტისმეტად დარწმუნებულმა დინამოელებმა ტემპი მოადუნეს. პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 მასპინძლების სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევრის დასაწყისი, ისე ჰგავდა პირველი ტაიმის დასაწყისს, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთს. პრობლემა გახდა მესხის ნეიტრალიზება. „ზენიტის“ მარჯვენა მცველს ლოხოვს ორი მოთამაშე ეხმარებოდა, მაგრამ ამაოდ... გუშინ მიხეილ მესხი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ორასორმოცდამეათე მატჩს თამაშობდა. მისი თამაში მართლაც რომ საიუბილეო იყო.

...და აი ორმოცდამეთვრამეტე წუთზე ბურთი აქვს მესხს. იგი შესანიშნავად გაიჭრა მარცხნივ და ჩამოაწოდა კარის ხაზთან, რომელსაც მოუსწრო დათუნაშვილმა და ბადეში გაახვია. ეს ბურთიც საიუბილეო იყო. თბილისის დინამოელებმა ამით მესე ბურთი გაიტანეს ზენიტის კარში.

ლენინგრადელების კარი კვლავ საფრთხეშია. საჯარიმოს მახლობლად მეტრეველს სარმა გამოსდეს. მეტრეველმა-მესხმა-ნოდიამ კვლავ მესხმა საჯარიმო შესანიშნავად გაითამაშეს და თბილისელთა მარცხენა კარის ბადე. ამის შემდეგ მ. მესხი რამდენჯერმე შეიჭრა თავისი ჩვეული ოსტატობით ლენინგრადელთა საჯარიმო მოედანში და კიდევ ორჯერ უძლიერესი დარტყმით ულამაზესი გოლები გაიტანა.

თამაშის დამთავრებას ხუთი წამი აკლდა, როცა ლენინგრადელებმა დაიუნაშვილი „მოცელეს“. დაინიშნა პენალტი, რაც კარგად გამოიყენა მეტრეველმა.

ერთად-ერთი ბურთი თბილისელთა კარში სტუმრებმა გაიტანეს თამაშის მე-77 წუთზე.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა დინამოელთა დამსახურებული გამარჯვებით ანგარიშით 6:1.

გუშინწინ გაიმართა ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩი. თამაშის შედეგი ფრე — 0:0.

ბ. ბახტურიძე.

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის მატჩები.

მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები — „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“. მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 1:0.

ლუგანსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზარია“ და კუიბიშევის „კრილია ბოვეტოვი“. მინიმალური ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

როსტოვში არმიელთა წინააღმდეგ თამაშობდა ოდესის „ჩერნომორეცი“. 1:0 გაიმარჯვეს ოდესელებმა.

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა დონეცკში „შახტიორსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. თამაშში დამთავრდა სტუმრების დამარცხებით — 1:2.

ტაშკენტის „პახტაკორმა“ საკუთარ მოედანზე მიიღო ერევნის „არარატი“. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს უზბეკმა ფეხბურთელებმა.

ალმა-ატის „კაირატი“ მასპინძლობდა ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელთა გუნდს. ორთაბრძოლის შედეგია 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

„სიჭაბუკის“ თასზე

სევეროდონეცკში დაიწყო ფინალური თამაშები საკავშირო ალკა პრიზზე — „სიჭაბუკის თასზე“. ფინალში მონაწილეობს აზერბაიჯანის, უზბეკეთის, საქართველოს, მოსკოვის, ლენინგრადის და ლუგანსკის ოლქის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. შეჯიბრების პირველ დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. მოსკოვის გუნდმა დიდი ანგარიშით 7:0 მოუგო ლენინგრადელებს, ლუგანსკისა და უზბეკეთის მატჩი დამთავრდა უზბეკი ფეხბურთელების გამარჯვებით — 2:1.



საბრძოლო ფრე

„ტორპედო“ (ქუთაისი) — **„დინამო“** (მინსკი). 3:3 (1:1). ქუთაისი. 7 აგვისტო. **ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ნ. პრილოვი (კუიბიშევი). ტორპედო — კვახხვაძე, ლოსაბერიძე, წოვრებაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, ზარია, ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ვეკუა, ხუციშვილი, ხერხაძე (ჭითანავა); „დინამო“ — პროხოროვი (ანდერსი), რომინი, ზარემბო, კანუნიკოვი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, ტოლეიკო, ადამოვი, მუსტიგინი, მალოფეევი, ვასილიევი (გირკო).**

შეხვედრა სწრაფ ტემპში დაიწყო და გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. სახიფათო მომენტები უფრო ხშირად სტუმრების კართან იქმნებოდა, მაგრამ ანგარიში 23-ე წუთზე მაინც დინამოელებმა (მუსტიგინი) გახსნეს. ამის შემდეგ ქუთაისელები გაქტიურდნენ. მე-40 წუთზე სტუმრები დაჯარიმდნენ და ერქომაიშვილმა ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმის მე-15 წუთზე კვლავ მუსტიგინმა ანგარიში გაზარდა. ამ მომენტიდან ქუთაისელები გაქტიურდნენ და 30-ე წუთზე ხუციშვილმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო სამი წუთის შემდეგ ჭითანავამ მესამე ბურთი გაახვია მოწინააღმდეგის კარში. თითქოს მატჩი ქუთაისელების გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მოლოფეევმა იხსნა თავის გუნდი დამარცხებისაგან. საბრძოლო ფრე — 3:3.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბოლო სვეტზე

„ავტოგრაფები“ ვეშაპის მალაზე

ვეშაპის მალამ, რომელიც დიდი ნიუფაუნდლენდის მეჩიჩთან რეწვის დროს ლიტველ მებადურთა ბადეში მოპყვა, ისინი გაოცა არა იმდენად, თავისი სიდიდით, რამდენადაც მასზე წარწერილი „ავტოგრაფებით“. ორმოცდაოთხგრამიანი ძვალი აჭრელებული იყო თარიღებითა და იმ გემების სახელწოდებებით, რომელთა ბადეებშიც მოჰყოლია.

წარწერები იწყება 1964 წლიდან, როცა რომელიღაც მებადურმა მალაზე ამოჭრა ეს თარიღი და ძვალი კვლავ ოკეანეს დაუბრუნა. ლიტველებმა არ დაარღვიეს ტრადიცია. ავტოგრაფებს მიუმატეს თავიანთი. დიდი საყინული ტრაულერი „იოზას ვარეიკის“ სახელი, ნოსონობის დრო და ნაპოვნი კვლავ ოკეანეში გადაგდეს.

გ. ტარანოვიჩი.

საჰაერო ფეიერვერკები

ფორეული აღმოსავლეთის მუშათა ლაბა არხარის განაპირა უბანში მშენებლები წყალსაწვავ კოშკს აშენებდნენ. მისმა სიმაღლემ 20 მეტრს რომ მიაღწია, ნაგებობის თავზე ჰაერში განერდა ვერტმფრენიანი „მი-4“. იქიდან გვარლები ჩამოუშვეს, და რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაერში ავიდა ფოლადის ოცდახუთკუნტიანი ავზი.

ასე განახორციელა „მფრინავი ამწის“ ეკიპაჟმა, რომლის მეთაურია პილოტი ვასილ ალიმოვი, პირველად ამერის ოლქში წყალსაწვავ ტევადობათა მონტაჟი მთელ ოპერაციას 45 წუთი დასჭირდა. ერთი წლის წინათ კი სხვადასხვა მექანიზმებით აღჭურვილ მემონტაჟეთა ბრიგადას ასეთი სამუშაოს შესასრულებლად მთელი კვირა სჭირდებოდა.

მეორე კოშკის მონტაჟი სოფელ ნიკოლაევკაში ვერტმფრენიანის პილოტებმა 25 წუთში დაამთავრეს, მესამისა კი ქალაქ სვობოდნში —20 წუთში.

(ახალი ამბების საააგენტო).

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 8 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	19	11	7	1	35: 9	29
„დინამო“ (კ.)	19	9	8	2	24: 9	26
„დინამო“ (თბ.)	19	9	7	3	27:13	25
„შახტიორი“ (დ.)	19	8	9	2	24:21	25
„სპარტაკი“ (მ.)	19	9	6	4	21:14	24
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	19	8	6	5	30:17	22
„დინამო“ (მნ.)	19	7	7	5	28:20	21
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	19	5	11	3	12: 8	21
„ტორპედო“ (მ.)	19	8	4	7	21:19	20
სკა (რ.)	19	8	3	8	19:24	19
„ზარია“ (ლ.)	19	5	7	7	13:15	17
ცსკა	18	6	4	8	17:21	16
„პახტაკორი“ (ტ.)	19	3	9	7	15:19	15
„არარატი“ (ერ.)	19	4	7	8	14:22	15
„ლოკომოტ.“ (მ.)	19	4	6	9	12:19	14
„ტორპედო“ (ქ.)	19	3	8	8	16:27	14
„კაირატი“ (ალმ.)	19	3	7	9	14:28	13
„ჩერნომორ.“ (ო.)	19	3	6	10	11:27	12
„ზენიტი“ (ლ.)	19	5	2	12	14:35	12

სპორტული ქრონიკა

⊙ **ვინიპეგში** გრძელდება პანამერიკული თამაშები. დიდ წარმატებას მიაღწია ბრაზილიის კალათბურთელ ქალთა გუნდმა. უკანასკნელ ტურში მან დაამარცხა კანადის ნაკრები ანგარიშით 78:61. ბრაზილიის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა ოქროს მედლები მოიპოვა, ხოლო ამერიკის ქალთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

⊙ **შვეიცარიის ჩემპიონატში** ელისაბედ ლონგრენმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა 9.53,7 წამი, რითაც ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა. ამ სახეობაში ევროპის რეკორდს შვიდი წლის განმავლობაში ფლობდა მისი თანამემამულე იანე სედერკვისტი (9.53,7).

⊙ **კასკასიაში** ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ჩემპიონები აფროსნობაში „ვარსკვლავურ“ კლასში გახდნენ შვედები სტიგ ვენერსტრომი და იან ლიბეკი. უძლიერესთა რიცხვში ვერ მოხვდა ვერც ერთი საბჭოთა ეკიპაჟი: მოსკოვისა — ტიმირ პინეგინი, თეოდორე შუტკოვი და ლენინგრადისა — ვლადიმერ ვასილიევი, ედუარდ შუბი.

⊙ **სკოკლეში** დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს ორი საბჭოთა გროსმაისტერი რატმირ ხოლმოვი და ეფიმ გელერი. პირველი შეხვედრა კნეუევიჩთან (იუგოსლავია) ხოლმოვმა მოიგო. გელერმა პარტია გადადო მარიჩთან (აგრეთვე იუგოსლავია). ამ ტურნირში მონაწილეობს აგრეთვე რობერტ ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები) რომელმაც შავებით ფრედ დაამთავრა შეხვედრა იუგოსლავ მოჭადრაკე ილიევსკისთან.

„ტელევიზია

8 აგვისტო

11.30 — კინონარკვევი, 11.50 — მხატვრული ფილმი „ლაგვარელი მონადირე“, 13.00 — მოსწავლეთათვის — „ტყავის ბურთის პრიზზე“ (გადმოცემა ხარკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენის ეკრანი“, 18.30 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ნაკადულის“ საჩუქარი“, 18.55 — განცხადებები, 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — საუბარი — „ოქტომბრის რევოლუციის სახალხო ხასიათი და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა“, 19.30 — კინონარკვევი, 19.50 — ლიტერატურული გადაცემა — „რას მოგვითხრობს ფოტოსურათი“, 20.20 — კინონარკვევი, 20.40 — გადაცემა — „დიდი ბალეტის ახალი თაობა“, 21.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.30 — მხატვრული ფილმი „მზეურავის გმირობა“.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 ს. 45 წ., საღამოს 17. 40 წ.

9 აგვისტო

09.30 — კინონარკვევი, 09.50 — მხატვრული ფილმი „მზეურავის გმირობა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — კინონარკვევი, 19.00 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“ — „როგორ უზრუნველყოთ პირუტყვი ზამთარში მწვანე და წვნიანი საკვებით“ (სტუდიაში — მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აჯამეთის საცდელი სადგურის დირექტორი სიმონ ყახაძე), 19.20 — ბერნარდ შოუ — „სონეტის შავგრემანი ლედი“ — სატელევიზიო სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — გადაცემა — „ორი წელი ასუანის კაშხალზე“, 20.30 — „ახალი შრომითი გრაფიკის ზღუდესთან“ (სტუდიაში — ქალაქ თბილისს ტრანსპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. დავითაშვილი), 20.40 — კონცერტები, 21.00 — კინონარკვევი, 21.10 — ახალი ამბები“ (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.30 — რუმინული მხატვრული ფილმი „თეთრი არაბი რომ ვიყო“, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 10 აგვისტოსათვის, 23.00 — ბულგარეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი (გადმოცემა სოფიიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 ს. 45 წ., საღამოს 18 ს. 10 წ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

აკადემიკოს გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს

ასპირანტის ერთ ადგილზე ბიოქიმიის სპეციალობით და კლინიკური ორდინატორის ორ ადგილზე ბავშვთა ჰემატოლოგიაში.

კონკურსისათვის საჭირო საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექციაში. **მისამართი: თბილისი, პავლოვის ქ. № 22.**

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ჩაუ ვცალოთ, ჩაუ ეოვისეირთ

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი“ | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებებისა — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 | УЭ 09895 | საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.